რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-цію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ნვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. ...შეჩენილ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


## ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება“

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 16 ენკენისთვეს. სტატს-სეკრეტარი გრაფ ალექსანდროვის ლიცეის მზრუნველად დაინიშნა.

პროფესორმა ტაგანცევმა მიატოვა პროფესორობა პეტერბურღის უნივერსიტეტში.

მომავალ 1883 წელს რუსეთის სახელმწიფო ხაზინა მოელის: შემოსავალს 298,495,180 მან., ე. ი. 9,778,000 მანეთით მომეტებულს, ვიდრემ შარშან იყო.

სტამბოლი, 15 ენკენისთვეს. ოსმალეთის მთავრობამ ნოტით მადლობა უძღვნა ინგლისს ეგვიპტის დამშვიდებისათვის, ამასთანავე იმედს აცხადებს, რომ კეთილი განწყობილება ინგლისსა და ოსმალოს შორის უფრო მტკიცე შეიქნება. ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა გრენვილმა შესაფერი პასუხი მისცა ოსმალოს ნოტაზედ.

### მწარე ფიქრები.

მოციქული პავლე ამბობს: „მართალი ქვეყანა ცოდვაზე დგასო“. ჭეშმარიტად! რას არ ხედავ, მართლა, ამ ცოდვილ ქვეყანაზე და რას არ გაიგონებ! ეს ცოდვა ერთბაშათ აქვს გამჯდარი ყოველ კაცს, დიდს და პატარას, უსწავლელს და ნასწავლს, მღვდელს და ერს. აი ხედავთ კაცს ადგილით, სწავლით თანამდებობით და ყველაფრით მაღალს; იგი შემკულია და დაჯილდოებული მთავრობისაგან, სასარგებლო სამსახურისათვის, სიმართლის ქადაგებისათვის, ზნეობის სწავლისათვის. შენ გგონია თუ ამ კაცისაგან სიცრუე არასოდეს არ ითქმის. ფიქრობ თუ ეს კაცი ტყუილს სიკვდილისთვის არ იტყვის. მაგრამ, საუბედუროდ, მოტყუებული ხარ! შენ ჰხედავ გარეგანათ გაბრწყინვებულ და განსპეტაკებულს კაცს, მაგრამ გულით უგრძნობელს, გონებით თავის ანგარიშისათვის დაბრმავებულს; უფროსის ანუ თავიანთ მოძმეთ და მეგობრების სასარგებლოდ ნიადაგ ტყუილის სათქმელად განმზადებულს; ამტკიცებს იმას, რაც არ თქმულა, აბეზღებს ხალხს იმაში, რაშიაც დამნაშავე იგი სრულებით არ არის.

ამ დღეებში მე ვკითხულობდი რუსულს გაზეთს „საეკკლესიო-საზოგადო მახარებელს“, რომელშიაც იბეჭდება ხოლმე უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიში ვრცლად რუსეთის მართლმადიდებელ სარწმუნოების ეკკლესიაზე. სხვათა შორის, მე შემხვდა ერთი ალაგი, რომელშიაც არის მოყვანილი მიზეზი ჩვენ სასწავლებლებში კენჭის აღრჩევით ზედამხედველების მოსპობისა. როგორც ობერ-პროკურორი იწერება, ეს მომხდარა ჩვენი ყოფილის ექსარხოსის მოხსენებით *).

ამ საანგარიშო წელში, ამბობს „მახარებელი“, საქართველოს ექსარხოსმა წარმოუდგინა სინოდს აზრი, რომ ტფილისის და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში იყო კენჭისყრით აღრჩევა სასწავლებლების ზედამხედველებისა და მათის თანაშემწეების და ყველგან ამ თანამდებობაზე ქართველები აღირჩიეს, რუსებმა კი ორი და ერთის კენჭის მეტი ვერ მიიღეს, და ვიდრემდის კენჭის-ყრა არ მოისპობა ყოველთვის ქართველებს აირჩევენო. რადგან ეს სასარგებლო არ იქმნება და ამასთან რუსები აღარ იმსახურებენ აქ, ამისთვის სჯობს მოისპოს კენჭის-ყრით ზედამხედველების აღრჩევა და მიენდოს მათი არჩევა სასულიერო მთავრობასო.

ეს აზრი დაამტკიცა სინოდმა და ამით აღუსრულდა მრავალს თავის სურვილი. ზასაკვირველია მხოლოდ ის, რომ ქუთაისის სასწავლებელში ყველა რუსის კანდიდატებმა სამღვდელოების თხოვნაზე უარი სთქვეს და არ ისურვეს კენჭის-ყრაში ჩასვლა.

რატომ ედება ამისთანა ცილი სამღვდელოებას—არ ვიცით... ნუ თუ ჩვენი ყმაწვილ-კაცობა მიტომ მიდის აკადემიებში და უნივერსიტეტებში, რომ არც ერთი ხეირიანი ალაგის მიღება არ შეუძლიათ? ნუ თუ ჩვენი სტუდენტები მოკლებულ არიან ნიჭს? ნუ თუ ჩვენ სტუდენტებს არ შეუძლიათ ის, რასაც რუსის სტუდენტი შეიძლებს? რათი უნდა იყოს საზარალო, რომ ქართველს შაგირდს ქართველი დაენიშნოს მასწავლებლად? . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . ნეტავი როდის მოაწევს ის დრო, როდესაც მთავრობა გაიგებს ჩვენს ერთგულებას და ბოლო მოეღება ამისთანა დაბეზღებებს. ნეტავი როდის იქმნება ის დრო, როდესაც გაიგებენ ჩვენი პედაგოგები, რომ დედის რძეს ბავშვისათვის ძიძის რძე ვერ აჯობებს...

*N. N.*

*) იხილე „Ценковно-общѣство. Вѣстникъ“ ამ წლისა, № 35.

### დღიური

„იურიდიული მიმოხილვის“ უკანასკნელს ნომერში ვკითხულობთ:

„ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ კამისიას, რომელიც. ლენ.-ლეიტ. სტა-

„დროების“ ფელტონი, 18 სექტემბ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

დაბინავების შემდეგ იმათ საჩქაროთ შეჭამეს მწვადები, რომელიც მოამზადეს თან მოტანილი ნადირის ხორცისაგან, ნუნუს მისცეს ნაბადი რომელშიაც გაეხვივა და კობა და იაგო კი ცეცხლის პირას ჩიბუხს ეწეოდნენ.

—მე ხვალ გათენებისას „ზვირგასწვერზედ“ გავალ მწყემსებთან, გავიგებ ყარაულად ვინები არიან, სთქვა კობამ.

—ხევსურები იქნებიან, სხვა ვინა? უპასუხა იაგომ.

—მე სულ კარგი და სულ კეთილ—ისინი გზას არ დაგვიჭერენ.

—მალე-კი გაიგე ყველაფერი.

—მალე გავიგებ.

—ზვირგოლაი ეშმაკია, თუ მიგვიხდება აქეთ წამოსვლას, მაშინ ჩამოვლენ და ყველა გზებს შეგვიკვრენ,—აჩქარება უნდა.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა.

კობამ ვერ გაათავა ეს სიტყვები, როდესაც გაღმა მთის გვერდზედ გავარდა თოფი, იმას სხვა ადგილიდგან, ცოტა მოშორებით უპასუხა რამდენიმე თოფმა და მთვარის შუქზედ, ველიანს მინდორზედ გამოჩნდა ორი ჯგუფი ხალხისა, რომლებთ შორის ასტყდა თოფის სროლა.

ორივე ამხანაგი წამოცვივდნენ და დაუწყეს ცქერა, როდესაც მინდორზედ თოფის ცეცხლი ხან აქ გაიძაბებოდა ენასავით, ხან იქ და ცოტა ხნის შემდეგ მოისმოდა გრიალი. ვინ იცის ვის ართმევდა სიცოცხლეს, ვის სახლში შეჰქონდა ტირილი და ვაგლახი?

დიდხანს არ გაგძელებულა ეს სროლა, რადგანაც ერთმა ჯგუფმა დაიწია უკან და ტყეში შემოცვივდა, მეორე ჯგუფმა თუმცა ყიჟინა დააყარა, მაგრამ აღარ გამოჰკიდებია, რადგანაც ამ შუა ღამისას განდევნა უსარგებლო იქნებოდა და თითონ ტყეში შეცვივნულებიც უკეთეს პირობაში ჩადგნენ.

— ეგენი ბეჯითად „ჯარიახლები“ *) იქნებოდნენ. წარმოსთქვა იაგომ.

— ჯარიახლები იქნებოდნენ, „არწია“ ემანდვე „ზვირგალხის“ იქით არაა?

— მეცხვარეებს თუ უპირებდნენ დაცემას და გაუგეს.

— ბეჯითად.

— ჩქარა-კი შემოცვივდნენ ტყეში.

— მაშ ტყუილად რაზედ დაიხოცავდნენ თავებს?—იმათ ცხვარი ენდომებოდათ და რაკი მწყემსებმა გაუგეს რაღას დაანებებდნენ.

— „მაი“ **) მაგათ შევერთდეთ.

— აგრე.

— მაშ წავალ მოვნახამ. წამოიწია იაგომ.

— შენ რაისთვი—მე აქ არა ვარ? წამოდგა კობა.

— მე რაილა მიჭირს? მე წავალ. გადაწყვეტით უთხრა იაგომ.

— შენ აქ დარჩი, ნუნუს უყარაულე.

— აბა, მაშ შენ იცი. სიფთხილითკი იყავ.

— ფიქრი ნუ გინდა.

— ერთბაშად არ შაეფეთო არ მოგკლან.

— არა.

— ძმობა უთხარ.

— აგრე.

— უთხარი, რომ აბრაგები ვართ, რომ მაგათას სტუმრათ მივდივართ.

— აგრე.

— მაშ ნულარ იგვიანებ, ღმერთმა მოგიმართოს ხელი.

კობამ აიღო თოფი, გადაიწერა პირჯვარი და რამდენიმე გადაბიჯების შემდეგ დაიმალა ტყეში.

*) იხ. „დროება“, № 193.

*) ჯარიახი—ქისტები ხევსურთ ტომი.

**) მაი—მოდი.

როსელსკის თავმჯდომარეობით, არის ტფილისში დანიშნული და რომელსაც მინდობილი აქვს კავკასიის გამგეობის ცვლილებაზედ თავის აზრის წარმოდგენა, გარდაუწყვეტია კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს გაუქმება და იმის მაგიერად მთავარ-მმართებლის კანცელარიის დაწესება. ამას გარდა უნდა გაუქმდეს აგრეთვე მთავარი სამმართველოს დეპარტამენტი და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა; სასამართლო უწყება გადავა იუსტიციის სამინისტროს გამგეობაში, აგრეთვე გამიჯვნის უწყებაცა.“

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, ჩვენი სასამართლოების რევიზიისათვის გამოგზავნილი სენატორი ბერ ბაქოში წასულა იქაურ სასამართლოების დასათვალიერებლად; იმის თანაშემწე ობერ-პროკურორის ამხანაგი პლატონოვი კი ტფ. ოლქის სასამართლოს აპელაციურ განყოფილებას უშვრება რევიზიასა.

* * *

ინგლისის ბათუმელი კონსული თავის მთავრობისადმი მოხსენებაში, სხვათა შორის, ამბობს, რომ ბათუმი თან-და-თან ისეთს წარმატებაში მიდისო, რომ იმის ნავთ-სადგური, უეჭველია, დიდ ზარალს მისცემს და დაამცირებს ფოთისა და ტრაპიზონის ვაჭრობასაო.

* * *

ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენ კიდევ რამდენიმე პირისაგან მოგვივიდა თანაგრძნობითი ტელეგრამმები და წერილები თ. გრ. ორბელიანის იუბილეის გამო. ზოგიერთები გვკითხავენ, სხვათა შორის: როდის იქნება გამართული იუბილეიო. რამდენათაც ვიცით, იუბილეის დღესასწაულობას ამ წლის ნოემბერში აპირებენ; მაგრამ ამის შესახებ ჯერ-ჯერობით ნამდვილად არა არის-რა გარდაწყვეტილი; და როდესაც გადაწყდება, რასაკვირველია, ჩვენს გაზეთშიაც იქნება ყველაფერი გამოცხადებული.

* * *

ქართული თეატრი გაიხსნება ნამდვილად კვირას, 26 სეკტემბერს, არწრუნის თეატრში. წარმოდგენილნი იქნებიან: „ფერი-ფერს, მადლი ღმერთს. კომედია სამს მოქმედებათ ალ. ყაზბეგისაგან გადმოკეთებული და „დედა და შვილი“—დრამატიული სცენა ერთ სურათად და ლექსად თ-დი ილ. ჭავჭავაძისა. ორივე თხზულებანი პირველად წარმოდგებიან ჩვენი დასსიგან. წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას ახალი დებიუტანტი ბ ნი ლომიძე.

### წერილები რედაქტორთან.

მ. ხ. ბ. რედაქტორო! თქვენს პატივცემულს გაზეთს „დროების“ მე-189 №-ში არის დაბეჭდილი შენიშვნა, რომელიც იწყობა შემდეგის სიტყვებით: სოფელს პავთისხევში არის გამოგზავნილი ზემლემერი ფანიევი (ე. ი. მე) ის აწუხებს გლეხ კაცებსაო მით, რომ თხოულობს მათგან უსასყიდლოთ მუშებს, ცხენს, შეშას და სხვა ბევრს რასმეს შემწეობასაო იმ დროს, როდესაც ის, ფანიევი მიჯნავს სრულებით სხვის მამულებს—მებატონეებისასაო.

ამ უსახელო შენიშვნის ავტორს ვიცნობთ როგორც მე ეგრეთვე სოფლის პავთისხევის მცხოვრებლებიცა, რადგანაც თვითონვე აღვიარა ხალხთან, რომ გაგზავნა სტატია გაზეთში დასაბეჭდათა, რომლითაც მე ცილს მწამებს სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებაებში და მემუქრის გამგზავნოს თურმე ძალიან შორს სადმე სასჯელათა. მიზეზი ამისთანა ხმისა ჩემზედა შევიწროება და სხვა-და-სხვა უკანონოთ შემწეობის მოთხოვნილება კი არ არის გლეხებიდგან, როგორც კორრესპონდენტი ამბობს, არამედ რომელიმე პიროვნებითი ჩემი მასთან ანგარიში, დამთენილი ჩეჭვნით უყურადღებოდ, რომელზედაც არ გავაგძელებ ბაასსა, რადგანაც ის მკითხველისთვის არავითარ ახალ ამბავს არ შეადგენს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მჭედელი ქადის გამოცხობას იწყობს და ხაბაზი კიდევ კლიტის გაკეთებასა.

სწორეთ იმ ავტორს ამ ნაირი საქმე მოსვლია. ამას სრულებით არ ესმის, როგორც ეტყობა, არც კანონიერობა და არც უკანონობა ჩემის მოქმედებისა, არამედ დაუწერია ეს ჭორი სხვათა შორის. იმას მხოლოდ ის გაუგონია, რომ მე ვთხოულობდი, შეშას, ცხენსა, მუშასა და სახლსა და ის კი არ ცოდნია მე ნება მქონდა ამაზედა თუ არა, მაგრამ შენიშვნიდგან ნამდვილათ სჩანს, რომ მას გონებია რომ მე არა მაქვს ნება, მაშ თუ ასე არის და ეჭვი აქვს ამაში ავტორსა მაშინ მე იმას ურჩევ ერთი ჩაიკითხოს 189 და 190 მუხლები მეათე ტომის მესამე ნაწილისა და კიდევ 351 მუხლები მექევის პოლოჟენიისა და მხოლოდ მაშინ მე მგონია დარწმუნდეს თავის შეცდომაში და ჩემს კანონიერს სიმართლეში; მაგრამ რას ვიზამ იმ დალოცვილს კანონები დაუკარგავს და უიმათოთ მწერლობას შეზდგომია.

იმაზედ რომ ვითომც მე მებატონეების მამულების გამიჯვნის დროს გლეხის კაცებიდგან მუშები მეთხოვნოს მე ამას ვიტყვი რომ ესეც ნამვილი ჭორი არის. მე ვთხოულობდი გლეხის მუშებს, როდესაც მათსავე საკუთარს მიწებს ვმიჯნავდი ამ შემდგომ ჩემს მოქმედებას ვაფუძნებდი მექევის პოლოჟენიის მე 23 52 მუხლზედა, რომლისთვისაც ავტორს დაზარებია თვალი გადაევლო და თავის თხზულება ისე ეწყო. მკითხველმა კარგათ იცის რომ ზემლემერი პათისხევში სამ [illegible] სახლებს [illegible] იშენებს და მუშებს თვითონ კი არ იმსახურებს, იმის მასალაზედა არამედ ისინი ასრულებენ თავიანთ პირ-და-პირ დანიშნულებასა ე. ი. თხრიან ორმოებსა და აკეთებენ მექევის ნიშნებს და სხვანი. მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვი, რა ველაპარაკო შენიშვნის დამწერსა, როდესაც იმას არამც თუ მექევის კანონების სტრიქონები არ ჩაუთვლია, არამედ ზემლემრის მუშაობაც არ უნახავს თვალითა...

ხოლო რაც შეეხება ამ საქმის სპეციალურს მხარესა იმაზედ ხომ ხმას ვერ ამოიღებს: და უბედურობაც ის არის, რომ სხვა მცოდნესთვისაც არ უკითხავს, ექნება მადლის გულისათვის აეხსნიდა და გაურკვევდა ვინმე ამ საქმეს და ამისთანა შეცდომილებაში არ ჩავარდებოდა იმისთანა გლეხების დამცველი და თავის უმეცრებას ამ საქმეში და თავის ბრუდე შეხედულებას ამ სპეციალურს ხელოვნებაზედა მკითხველის ყურში არ ჩააგდებდა და მის ზიარად არ გახდიდა და უფრო იმ დროს, როდესაც საზოგადოდ კითხვა არის აღძრული მექევის კანონების გაუმჯობესობაზედა. დასასრულ ამისა მე ვსთხოვ ბ. ავტორს დამიმტკიცოს უკანონობა ჩემის მოქმედებისა და თუ არა—მაშინ მე ნება მექნება უწოდა მას უმეცარი და საზიზღარ ჭორების შემკრეფი და არა პატიოსანი გაზეთ „დროების“ თანაშემწე.

ზემლემერი ფანიევი.

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულის გაზეთის მე 184 №-ში დაბეჭდილი იყო სხვათა-შორის ერთი ბექათუბნელი გლეხისაგან გამოგზავნილი წერილის შინაარსი, რომლითაც ის გწერთ: „თუმცა ბევრი ვეცადეთ

---

იაგომ თვალი გაადევნა იმას, კარგა ხანს უყურა იმ ადგილს სადაც ის დაიმალა ფოთლებში და ბოლოს გამობრუნდა ნუნუსკენ, რომლისთვისაც მგზავრობას ძალა დაეტანებინა და მისძინებოდა.

მოხევე მიუახლოვდა, შესდგა დაუწყო ყურება იმის პირისახეს, რომელსაც მთვარის შუქი მიჰფენოდა და აშკარად ღიმილი გამოსჭვრეტდა. იაგო უყურებდა დიდს ხანს, სიყვარულით და თვალი ვერ მოეშორებინა იმის მიმზიდველის სახისთვის, რომელსაც გაწეწილი თმები უსწორმასწოროდ დაჰყროდა, სუბუქი მაგრამ თავისუფალი სუნთქვა არხევდა იმათ, რომელიც უეჭველია სასიამოვნოდ ულუტუნებდა, რადგანაც არც ილვიძებდა და არც ღიმილი ეკარგებოდა სახიდგან. ან იქნება დიდი ხნის უბედურს, თავის სატრფოსთან, ძილშიაც ტკბილი სიზრმები ეზმანებოდა და ეს იყო იმისი მხიარული სახის მიზეზი.

ცოტა ხანმაც გამოიარა გაელო ტუჩები, რომლებიც წყნარად შეინძრნენ და ისე ტკბილად და მღელვარებით სავსე გრძნობით ახსენეს იაგოს სახელი, რომ იმან ველარ მოითმინა ცქერა დაეცა მუხლებზედ და წყნარად, სიფთხილით დაუწყო კოცნა. ნუნუმ რა გახურებული ტუჩების მიკარება იგრძნო, შეიძრა და დაზარმაცებულის თუ დაქანცულის ზმორებით მოხვია მკლავი კისერზედ.

იაგო თითქმის დაიბნიდა იმის მიკარებაზედ, იქამდინ გამტაცებელი ძრიელი იყო იმის მიახლოვება.

ორნივ სტკბებოდნენ, ორთავ გულისცემა ფართხალად გარდაჰქცეოდათ, ორნივ ერთსა და იმავე თავდავიწყებაში და სიტკბოებაში იყვნენ, რომელიც მთელი საუკუნო რომ გაგრძელებულიყო სანანურად არ გაუხდებოდათ. ისინი ჰკოცნიდნენ და ითვრებოდნენ ერთმანეთის ეშხით.

რა მოზდიოდათ, რას შვრებოდნენ, რად მოქმედებდნენ ასე და სხვა რიგად არა, ამას ვერც ისინი გეტყოდნენ, ვერც სხვა, მხოლოდ იმათ ესმოდათ, რომ ისინი შეეპყრო რაღაცა უხილავ ძალას, რაღაცა სიტკბოებას, წაერთო გონებისთვის მოაზრება და თავის ქეიფი ლტოლვილება თითქმის სადღაც მიათრევდა თავის ნებაზედ და ისინიც მისდევდნენ, რადგანაც ძალა აღარ ჰქონდათ წინაალმდეგობისა! ისინი შესწყვეტდნენ ალერსს რომ ერთმანერთის თვალებში ჩასცქეროდნენ, რომლიდგანაც თითქოს ახალ ძალას ამოიღებდნენ, ახალ მოუსვენარს გრძნობას შეიძენდნენ და ისევ შეაწებოებდნენ ტუჩებს.

მეგთია სიყმაწვილე და მასთან წმინდა უანგარო სიყვარული!

ღმერთო! რამდენ ნეტარებასა გრძნობდა იმათი გული იმ წუთებში!..

ისინი კიდევ ამ სიტკბოებაში იყვნენ, როდესაც კობა გავიდა იმ ადგილს, სადაც ბინად უნდა დაბინავებულიყვნენ ტყეში შემოფარულნი მეომარნი.

იმ ადგილს პატარა მინდორს, გარს შემორტყმოდა ხელ-უხლებელი ტყე, რომელშიაც, დარწმუნებულნი იყვნენ ეს ხალხი, ვერ განსდევდნენ და მა- შასადამე თავისუფლად უნდა მოწყობილიყვნენ.

კობა სიფთხილით მივიდა ამ მინდვრის ნაპირად, წყნარად გასწია ფოთლებს და იმის თვალს წარმოუდგა, დანთებული პატარა ცეცხლი, რათა მაღლად წასული შუქი მთხრობლად არ გამოსულიყო და გზის მჩვენებლად არ დასდგომიყო იმათ მოწინაალმდეგეებს.

იმან დაინახა ათიოდე კაცი, რომელნიც ისხდნენ ცეცხლის გარეშამო სწმენდდნენ თოფებს და ელოდენ ვახშმის მომზადებას, რისთვისაც რამდენიმე შამფურზედ შიშხინებდა ჯიხვის მწვადები.

ცოტა ხანს უყურა კობამ და იცნო, რომ ისინი მართლა ჯარიახელი ქისტები ყოფილან, რომელთ შუა ერთი ნაცნობიც ერია; ეს იყო გამოჩენილი ცელების მკვეთებელი ფარჩო, რომლის წამოსადეგობა და ვაჟ-კაცობა იმ ხანში ფარულად არა ყოფილა.

ლონიერი, და გონიერი ბუნებით, იყო წარმოუთქმელი მარდი, მხნე და გულადი; იმას არა ერთხელ აეტირე-

...ლი მამასახლისი ლ—ძე არ ამორ-
...ულიყო, მაგრამ ვერ მოვ ხერხეთ
...დგან პოსრედნიკს მისი მხარე ეჭი-
...რა".

...მომრიგებელი შუამავალი გახლა-
...რ მე და გთხოვ მისცეთ ადგილი
...ქენი გაზეთის უახლოეს ნომერ-
...ამ ჩემ პასუხსაც და ესთხოვ „კავ-
...ზის“ რედაქციასაც გადაბეჭდოს,
...დგანაც მან გარდაბეჭდა ზემოხსე-
...ლი გლეხისაგან გამოგზავნილი წე-
...ლი.

...ს ცნობა არის ტყუვილი შეწამება.
...მე გახლდათ ასე:

...ც-და-ხუთს წასრულ აგვისტოს
...ესა იყო ყრილობა ბექათუბნის სა-
...ზოგადოებისა ამოსარჩევათ მოხელე
...რებთა. შეიკრიბენ 215 კაცი. რო-
...საც მე გამოვუცხადე მიზეზი ამა
...ებისა ყრილობას,—ხალხში რამო-
...ნიმე პირმა დაიძახეს:—ძველი მამა-
...ხლისი დარჩესო, და რამოდენიმემ
...წარმოადგინეს ახალი კანდიდატი. მა-
...ნ ატყდა ხალხში უთანხმოვნო და
...თანხმო ლაპარაკი და რადგან მათ
...შორის თანხმობა არ შესდგა, რომ
...ხმათ ერთზედ გათავებულიყო არ-
...ვანი, მე დავდგი სტოლი ხალხის
...წინ, დავაყენე ორნივე ძველი და ახა-
...ლი კანდიდატები და თანახმად გად-
...აცემულის საგლეხო პრისუტსტვიისა-
...ნ ფორმისა ვკითხავდი ვინ სურდათ
...ათ მამასახლისად, სახელდობ ძველი
...თუ ახალი, და აწერდნენ ხელს. აღ-
...მოჩნდნენ მსურველნი ძველის მამა-
...სახლისისა ლ—სა 197. წინაამდეგნი
...ისა და მომხრე ახალისა იყვნენ 18
...კაცი.

...ამგვარად დარჩა ამორჩეული ლ—ძე;
...რომელზედაც ერთად სხვათა მოხე-
...ლეთა ამორჩევითი ფურცელი წარდ-
...გენილია სადაც ჯერ არს.—აქედამ
...დაინახავთ რომ ჩემი მოქმედება იყო
...არა თუ ვისმესი მხარის დაჭერა, არა-
...მედ პირ-და-პირი ასრულება ჩემი თა-
...ნამდებობისა ისე, როგორც მოითხოვს
კანონი და სამართალი.

შორაპნის უეზდის მეორე განყოფი-
ლების მომრიგებელი შუამავალი
თ-დი მერაბ ღორთქიფანიძე.

## პასუხი „დროების“ № 187 მოწი-ნავე ქუთაისის სასულიერო სას-წავლებელზე სტატიის ავტორს.

ამ სტატიაში, სადაც ძველი და ახალი, ტყუილი და მართალი არეულ-დარეულია თავ და პირველად ავტორი ამბობს, რომ რევიზორები მოდიან ახვა-და-სხვა ადგილებიდგან ამ სასწავლებელში, უკანვე მიდიან და „რამე ცვლილებას სასწავლებელში“ მათგან მოხდენილს ვერ ვხედავთო.

როგორ ვერ გაუგია ბატონ ავტორს, რომ თუ რევიზორებმა ცვლილება არ მოახდინეს, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სასწავლებელში საქმე ისე არ მიდის, როგორც მას და მის თანამოზიარეებს ეჩვენებათ და რისთვის არ დაფიქრდა იგი და არ სთქვა: იქნება მე ვსტყუვდები ან მე მატყვილებენ ჩემი თანამოზიარენი? თითონ ავტორიც არ მალავს თავის ამ საქმეში უმეცრებას და ამბობს, რომ „ზოგიერთ“ სასწავლებლების მარტო ვიცნობ პირადადო.

მაგრამ მაგარი ის არის, მკითხველო, რომ ავტორს და მის თანამოზიარეებს სხვა კუჭის წვა აქვთ და არა სასწავლებლის საქმის წინ წასვლა. სასწავლებლის საქმის გაუმჯობესობა მათ საკუთარ უბედურებად და დამარცხებათ მიაჩნიათ და მისი უკან დახევა კი ბედნიერებათ. ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოსთ,—ეს არის მწარე ჭეშმარიტება.

შორს არ წავალ ამის დასამტკიცებლად თითონ ეს სტატია, ეს მისი დამწერის ღირსების დამამცირებელი სტატია ცხადათ ამტკიცებს, რომ მე ნამდვილ მართალს ვამბობ. მოისმინეთ ბატ. ავტორო თქვენი სიტყვები და ჩემი მათზე პასუხი და, არ გაწითლდეთ კი.

თქვენ სწერთ: „სასწავლებელი კი ისევ იმავე სენითაა შეპყრობილი, როგორითაც მათ (რევიზორების) მოსვლამდი იყო, მასწავლებლებსა და ზედამხედველს შორის გულ-ძვირობა, ინსპეკტორის ცემა-ტყეპა, ზედამხედველის თავში ჩაჩქუნი მოსწავლეებისაგან ისევ ჩვეულებრივი მოვლენაა სასწავლებელში.“

რევიზორი წასრულ სასწავლო წელში ამ სასწავლებელში ერთი ენკენისთვეში იყო ტფილისიდგან, მეორე მაისში პეტერბურღიდგან. ერთი მიბრძანეთ ბატ. ავტორო მას აქეთ, მათ მოსვლის შემდეგ, რომელ ინსპეკტორს და ზედამხედველს რომელმა შეგირდებმა მიაყენეს შეურაცხყოფა. რავ და რისთვის გათქმევინათ ამისთანა ცხადი სიცრუე? სასწავლებლის საქმის წინ წაყვანის მხურვალე სურვილმა, არა?!

თუმც მართალია მათ მოსვლამდი კი იყო ეგ ამბავი, მაგრამ განა აქ მარტო მოხდა? სხვისას მეზობლათ წინეთაც ყოფილა და მას აქეთაც მომხდარა ამის გვარი ამბები, რისთვის ამაზე არა დასწერეთ რა ან არ სწერთ? მარა, უკაცვრავად, ეს იმას როდი იამება, ვინაც „გპატრონობს“. განა არ იცით თქვენ, რომ ის შეგირდები ისე არ გაგვიზრდია მე და ჩემ თანაშემწეს, როგორც თქვენ? განა არ იცით, რომ როცა მათ „მოალერსე და გულ-თფილი ძიძები“ ნაზად ზრდიდენ მე და ჩემი თანაშემწე რუსეთში ვიყავით და თითონ ვსწავლობდით? ცოდნით კი იცით, მაგრამ იქნება ერთობ გულთ-მავიწყარი და ბევრს საქმეებში გართული ბრძანდებით. მე ზოგ ეგზამენებში მარტო დავესწარი იმ კაცს მისი შეგირდობის დროს, რომელმაც ერთი წლის შემდევ სასწავლებლიდგან წასვლისა შეურაცხყოფა მომაყენა.

„ქაცობრიობის ისტორიაში ვინ გვიჩვენებს ისეთს მაგალითს, რომ ძიძას ათასი მოალერსე და გულ-თფილი“ რომ ყოფილიყოს მაინც ორს ან სამ თვეში გაეზარდოს ქორფა და ნორჩი ბუნების მექონი ყმაწვილი!

ის მოსწავლეები ჩვენამდი სასწავლებელში მოსამსახურეთა გავლენის ქვეში იყვნენ გაზრდილი. მაშინდელ სასწავლებელში მოსამსახურე პირებთა შორის (ყველაზე არ ვამბობთ) პარტიობა და განხეთქილება იყო. პარტიობა იყო სამმართველოში, მასწავლებლებში და, თუ არ ვსცდები, თითონ სამღვდელოების წარმომადგენელთა შორის დეპუტატებში. ერთი მეორეს კბენას ცდილობდენ, შეგირდებისთვის ვიღას ეცალა, ისინი კლასებს აკლდებოდენ და ბევრს ცუდ რამეებს შვრებოდენ, როგორც სასწავლებლის საქმეებიდგან სჩანს. არც შიში და არც ხათრი მათ არავისა ქონიათ. ზამორიცხულ შეგირდებს უკანვე იღებდენ მოსამსახურე პირებთა ხშირად იცვლებოდენ, მაგ. ინსპექტორები ეს დიდათ მავნებელი იყო აღზრდის საქმისთვის. რა გავლენა ექნებოდა ახალ ინსპეკტორს იმ ყმაწვილებზე, რომლების არც ხასიათი იცოდა და არც ზნე, რომელთაც თითქმის პირათაც ვერ იცნობდა?

ბევრი ეცადნენ სასწავლებლის გულითადი მოკეთეები, რომ ჩემ დროსაც ეს პარტიობა არ გამქრალიყო, რომ ამ ნაირად მათ გავლენა არ დაკარგოდათ სასწავლებლის საქმების მსვლელობაზე თავიანთ უფსკრული ჯიბეების გასატენათ, არა ერთის სამმართველოს წევრისთვის უთქვამთ მათ: თუ გინდათ, რომ სასწავლებლის საქმე კარგად წავიდეს ყველაფერში ზედამხედველის წინაამდეგი

---

...ანა ყაზახების ცოლ-შვილი, არა
...თხელ გამოერეკა იმათი ჯოგი და
...ქონელი.

მაგრამ ამას რა უნდოდა ხევში,
...დაც მოკეთეებით სავსე იყო და
...ვრგან პურ-მარილ ნაჭამი.

ნუთუ ხევის წინაამდეგ სადავ-
...ოთ წამოსულა? ნუთუ დავიწყებია
...პურ-მარილი და მთის ხალხის ჩვეუ-
...ლება, რომელიც გარდა ოსებისა ისე
...მინდათ ინახება ყველასაგან?..

...არა ფარჩო ჩეჩენია მეტად ვაჟკა-
...ცია, რომ დაარღვიოს მთის ჩვეულე-
...ბა, ის სადავლოდ არ იქნება აქა!

ამ ფიქრში იყო ქობა, როდესაც
...ფარჩო ერთბაშად წამოხტა, გაავლო
...თოფს ხელი და დაიძახა:

—ვინა ხარ მანდა?

—სტუმარი. უპასუხა ქობამ და
...პირ-და-პირ გავიდა მინდორზედ.

—სტუმარი ღვთისაა, რაღათ იმა-
...ლები? უპასუხა ფარჩომ და შეხედა
...გამომცდელის თვალით.—მაგრამ თუ
...მატყუებ, ღმერთმანი ძვირად დაგიჯ-
...დება შენი საქციელი.

—ტყუილი გიაურებს შეჰფერის, მე მოხევე ვარ! ამაყად უპასუხა მოხევემ.—ჩემი ქვეყნის ხალხს არც გული აქვსთ გაყოფილი, არც ენა.

— ღმერთმა დაგლოცოს მაგ სიტყვისთვის!—ბეეწვივე. მიიპატიჟა ფარჩომ.

ამ დროს სხვები მიეგებნენ ქობას, პატივის ნიშნად თოფი ჩამოართვეს, მიესალმნენ და მიიყვანეს ბინაში.

ფარჩომაც იცნო ქობა, მოიკითხეს ერთმანერთი, იკითხეს „ხაბარი“, ერთმანერთის შინაურობა, საქონლის მდგომარეობა და ჩქარა დასხდნენ პურის საჭმელად.

ქობას, როგორც სტუმარს და ფარჩოს როგორც იქ მყოფების უფროსს, ცალკე მიართვეს, დანარჩენები-კი ერთად დასხდნენ.

აქამდისინ ლაპარაკი შეეხებოდა სრულიად გარეშე საგნებს, თითქოს ზრდილობა ნებას არ აძლევდა ფარჩოს, რომ ეკითხა ქობასთვის იქ ყოფნის მიზეზი და არც ქობა ჩქარობდა ამ ამბით და მთის ჩვეულებას და კვალად ელოდა უფროსისაგან კითხვას.

როდესაც პურ-მარილმა, რომელსაც ისეთი მნიშვნელობა აქვს მთის ხალხში, რაოდენათმე დააკავშირა ისინი, როდესაც ყალიონებს მოუკიდეს, ფარჩომ პირველმა დაიწყო.

— სტუმარო, შენ მეცხვარე ხარ, საქონელს ისე არ დაანებებდი თავს... თუ სათქმელი გაქვს რამე გვითხარი, ყური შენკენა გვაქვს.

— ქაც ნაკლავი ვარ, სისხლს მოვშორდი, თქვენი მასპინძლობა მწადის.

— ქაცის მოკვლა ცოდვა არ არის; თუ გიმტრობს პასუხიც უნდა მოგცეს. მარტოკა ხარ?

— არა.

— მაშ?

— მე ვარ, ჩემი ძმათ ნაფიცი და იმისი ცოლი.

— მოდით. ცოტა ფიქრს შემდეგ წარმოსთქვა ფარჩომ. — სტუმარი ღვთისაა და მასპინძელი-კი კარს ვერ დაუკეტს. ჩემი სახლი თქვენი სახლი იქნება.

— სიპურადეში ჩეჩნელთ არ დაგეძრახებათ.

— სტუმარი ღვთისაა, ლუკმაც ღვთისაგანა გვაქვს მოცემული.

ამის შემდეგ ქობამ უამბო თავისი და იაგოს ამბავი, უამბო ნუნუს ძალად ჯვარის დაწერა, უამბო ციხის გატეხა და გამოქცევა, რომელიც სავსე იყო თავ-გადადებულის ვაჟკაცობით და იმიტომაც ისეთის სიამოვნებით ყურს უგდებდა ფარჩო და იმისი ამხანაგები.

ბოლოს ფარჩო წამოდგა, ამოიღო მასრიდგან ტყვია და მისცა ქობას.

— მოიტა შენც მამე, ძმად გაფიცვა მწადს შენთან.

ქობამაც მისცა თავისი ტყვია და ისენი სამჯერ გადაეხვივნენ ერთმანერთს. ამ დღიდგან ისინი შეიქნენ ერთმანერთთან დაკავშირებულნი როგორც ალალი ძმები, რასაც ყველანი სიამოვნებით ულოცავდნენ იმათ.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

იყავითო; მარა მათდა სამწუხაროდ სულ ტყუილა ჩაუარათ ამ ოინებმა. არც სამმართველოში, არც მასწავლებლებში პარტიობა აღარ არის, მოისპო. პარტიობა არხივში განისვენებს, მარა მისი სამწუხარო შემდეგი კი ევრე ადვილათ არ მოშორდა სასწავლებელს.

როცა მე და ჩემმა თანაშემწემა მივიღეთ ჩვენ თავზე სასწავლებლის საქმე ცხადათ დავინახეთ სხვათა შორის შემდეგი:

1) შეგირდები, ერთი და ორი კი არა, კლასში არ დადიან ზოგი სულ, ზოგი დღე გამოშვებით, ზოგიც რომელ უროკზეც ენებებოდა, 2) ზოგი მეოთხე კლასის შეგირდები სწავლას არ აწევბიან იმ იმედით, რომ ზედამხედველს და სხვებს, ვისიც საქმეა, შევევედრებით ეისმე და მაინც კაი მოწმობას გავიძლევანთ თანო. და 3) ზოგი მოსწავლეები ყველა კლასსების სწავლას გულს არ უდებენ მისთვის, რომ გაისათ იმ კლასშივე დავრჩებით და მაშინ ვიმეცადინებთ, ეხლა კი შევისვენებთ და ვისეირნებთო.

რა უნდა გვექნა ამ შემთხვევაში ჩვენ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით? ორში ერთი უნდა გვერჩია: ან უნდა გავჩუმებულიყავით, მიგვენებებია საქმისთვის თავი და მაშინ არაფერი საგაზეთო ამბებიც არ მოხთებოდა, მაგრამ საქმე კი თან-და-თან უკან წავიდოდა, ან და მტკივანზე რიგიანი წამალი დაგვედო, მარა მომრჩენელმა წამალმა საშინელი აწვა იცის, აწვამ...

და მაშინ ჩვენ თავი არ დაგვეზოგა. უკანასკნელი ვარჩიეთ, საქმე გასწორდა, შეგირდები კლასსებს ძველებურად აღარ აკლდებიან, არც მოწმობის გადასწორების იმედით ზარმაცობენ და ამ სასწავლო წლიდგან მოყოლებული არც ერთი და იმავე კლასში მეორე წელს დარჩენის იმედით სწავლას ხელს შეუშვებენ.

ეს სასწავლებლის საშუდამო მტერებს არ იამათ, თავისებურად დატრიალდენ და ამისთანა სტატიების, როგორიც ეს არი, ავტორები წამოგვისიეს. ამ საქმეში მათ, შემთხვევით, ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ წელს სასწავლებლიდგან უსწავლებლობისაგამო დათხოვნილი იქმნენ ორი მოსწავლე ერთი ახალი სასწავლებლის უფროსის და მისი თანამოსამსახურის მახლობელი ნათესავი.

(დასასრული შემდეგში)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

ქუთაისის საქალაქო სამ-კლასიან სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ გახსნა ამ სამოქალაქო სასწავლებლისა დანიშნულია ამა სექტემბრის 15 რიცხვისათვის, დილის 9 საათ. (3—2)

საჭიროა ლაქია

იკითხეთ „ალაზანის“ სარდაფში, სოლოლაკის ქუჩაზე, მღ. ორბელის სახლებში. (2—1)

საქალებო გიმნაზიის მეექვსე კლასის შაგირდი იაფად ამეორებინებს და ამზადებს ყმაწვილებს თავის სახლში.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლის № 44, ფოჩტის სტანციის პირდაპირ. (5—2)

გამოვიდა და ისყიდება შემოკლებული

საქართველოს ისტორია

შედგენილი

მამსაშვილი-ცამციევის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში ლორისმელიქოვის ქუჩაზე ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში

ფასი 70 კაპ. (5—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. პერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

აღაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი (10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკები

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


## ტაქსა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სექტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

# სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ. 17 Сентября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი